




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 142



2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენის, მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნისა და მათი განვითარების ხელშეწყობისათვის შესაბამისი წრეების ფუნქციონირების მიზნით საჭიროა დამტკიცდეს “ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა”.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში “ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა” საერთო ბიუჯეტით 64 800 (სამოცდაოთხი ათას რვაასი) ლარი დანართი №1 შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

## ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათი მოზიდვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში.

- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- ❖ სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ❖ მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ❖ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ❖ გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა. შემოქმედ ბავშვთა მონაწილეობით დელფიადებისა და ოლიმპიადების მოწყობის ორგანიზების ხელშეწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 64 800 ლარის ოდენობით:

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

მოზარდთა და ბავშვთა სულიერი და გონებრივი განვითარება.

სკოლისგარეშე საქმიანობის დაუფლება და იმავდროულად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესების ხელშეწყობა.

შემოქმედებითი განვითარებისათვის საჭირო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა.

შეფასების ინდიკატორი:

საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა;

შემოქმედი ბავშვების მიერ ორგანიზებული პროექტების რაოდენობა.